უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№10 (53) 2015

სტუდენტთა საპროტესტო აქცია შეწყდა

20-22 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საპროტესტო აქციები გაიმართა. თვითმმართველობის წარმომადგენლებმა თსუ რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ათპუნქტიანი მოთხოვნა წაუყენეს. თსუ რექტორმა მზადყოფნა გამოთქვა დიალოგზე, პრობლემათა ერთობლივ განხილვასა და გადაწყვეტაზე. 21 ოქტომბერს თვითმმართველობის წევრებმა ახალი მოთხოვნა წამოაყენეს - თსუ რექტორის გადადგომა. დღის ბოლოს სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა თსუ პირველ კორპუსში შიმშილობის აქცია დაიწყეს. აქციის წევრებს კიდევ ერთხელ შეხვდა თსუ რექტორი, რომელმაც მათ კვლავ დიალოგის რეჟიმში ურთიერთობა შესთავაზა. მოშიმშილეებს არსებულ პრობლემებზე მსჯელობის და მათი გადაჭრისთვის ერთობლივი მუშაობის თხოვნით თსუ აკადემიური საბჭოს წევრებმაც მიმართეს. 22 ოქტომბერს საღამოს სტუდენტებთან კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა – თსუ რექტორთან, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავასთან ერთად ახალგაზრდებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე ესაუბრა. მინისტრმა მოისმინა პრობლემები, რომელმაც სტუდენტების პროტესტი გამოიწვია.

მინისტრის თქმით, მას არ სურს უნივერსიტეტის ავტონომიურობაში შეჭრა, თუმცა, სამინისტრო მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთოს ამ პროცესში, რათა შეძლოს დახმარების გაწევა. ამ მიზნით მინისტრმა სტუდენტებს შესთავაზა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელშიც შევა 5 სტუდენტი და თსუ ადმინისტრაციის წარმომადგენელი. შეხვედრები გაიმართება ყოველ ორ დღეში, გაიწერება სამუშაო გეგმა.

„მე ვიცი, რომ ამ ახალგაზრდებს უყვართ უნივერსიტეტი. მთავარია, რომ გამოიძებნა დიალოგის ფორმა და კონსტრუქციულ რეჟიმში გაგრძელდება ამ საკითხების გადაჭრა.“ - განაცხადა თსუ რექტორმა.

შეხვედრის შემდეგ სტუდენტებმა შიმშილობა შეწყვიტეს. სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 23 ოქტომბრის 11 საათზე შედგა.

რას ითხოვდნენ საპროტესტო აქციებში მონაწილე სტუდენტები, როგორი იყო მათ მოთხოვნებზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და თსუ რექტორის პასუხი, ქვემოთ უფრო დეტალურად შემოგთავაზებთ:

სტუდენტთა მოთხოვნები:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ბიუროკრატიული მექანიზმები აფერხებს განვითარების პროცესს შესაბამისად შეუძლებელი ხდება პროგრესი;
- კაბინეტებში საუბარმა შედეგი ვერ გამოიღო, ბოლო წერტილს წარმოადგენდა სტუდენტების მასშტაბური შეხვედრა რექტორთან, რომელმაც ვერ შეძლო დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- საჭიროა, სტუდენტების ერთად დგომა, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს უნივერსიტეტის რებრენდინგი!
- ინფრასტრუქტურული მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს;
- ინგლისური ენისა და ზოგადად უცხო ენების სწავლების ხარისხი მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს;
- ბიუროკრატიული მანქანა უნდა გარდაიქმნას მოქნილ ინსტრუმენტად უნივერსიტეტში პროგრესის ხელშეწყობისათვის;
- ადმინისტრაციაში არსებული საკადრო პოლიტიკა უნდა გადაიხედოს - გაბერილი შტატები, უნიათო მენეჯმენტი, უპასუხისმგებლო და უხეში დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ;
- უნივერსიტეტში არსებულ შტატებზე გამოცხადდეს ღია კონკურსები და შერჩევის პროცესი გახდეს გამჭვირვალე;
- არ მოხდეს სტუდენტურ არჩევნებში ადმინისტრაციის თანამშრომლების ჩარევა და ამით სტუდენტებს შორის კონფლიქტის ინსპირირება;
- მაღალი ეშელონების სამივლინებო ხარჯები და მივლინებაში ყოფნის პერიოდი არ

გაგრძელება მე-2 გვ.

დიალოგი სტუდენტებთან

თსუ-ში სტუდენტებთან ფართო ფორმატით შეხვედრები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპამავ შემოიღო ტრადიციად. მორიგი შეხვედრა წელს, ოქტომბრის დასაწყისში მას შემდეგ გაიმართა, რაც სწავლის დაწყების დღეს სტუდენტებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. შეხვედრის მიზანი იმ პრობლემებზე საუბარი იყო, რომელიც სტუდენტებს დაუგროვდათ.

შეხვედრაზე ყველაზე მეტი შეკითხვა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა დასვეს. მათ შორის გახლდათ კითხვები აკადემიური რეგისტრაციის პროცესში წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით.

გაგრძელება მე-2 გვ.

ქართველოლოგია საქართველოს საგზვრებს გარეთ

წელს, 5-9 ივლისს ლიდსში, დიდ ბრიტანეთში ჩატარებული მედიევისტთა მსოფლიო კონგრესი საქართველოსთვის ერთი მნიშვნელოვანი სიახლით იყო გამორჩეული – ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მსოფლიო კონგრესზე იმუშავა საკუთრივ ქართველოლოგიურმა ორმა სექციამ. ლიდსის საერთაშორისო კონგრესები მედიევისტიკაში ტრადიციულად ყველაზე მასშტაბურია ევროპაში. მიმდინარე წელს, ამ კონგრესზე, თავი მოიყარა მსოფლიოს სხვადასხვა სასწავლო თუ კვლევითი დაწესებულებიდან შუა საუკუნეების კულტურის დაახლოებით 2500-მდე მკვლევარმა. ქართველოლოგიური სექციების მუშაობას უცხოელი კოლეგების ინიციატივით ორგანიზება გაუკეთა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ.

გაგრძელება მე-3 გვ.

პროექტის „შემოდგომის ლეგენდა“ ფინალისტები ცნობილია

ათი განსხვავებული წერის სტილი, ათი განსხვავებული ისტორია, ყველა რაღაცით საინტერესო, ყველა გამორჩეული. პატარა ნაწყვეტები ამ მოთხრობებიდან შთაბეჭდილებას ვერ ქმნის ავტორების სრულ შინაარსზე, მაგრამ აკეთებს მინიშნებას ნიჭზე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ ისინი – ნაწყვეტები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი სტუდენტური პროექტის „შემოდგომის ლეგენდა“ ფინალისტების ნაწარმოებებიდან:

„ჩვენკენ ჩუმად იცოდნენ ტირილი. წასვლაც ჩუმად იცოდნენ. აი ასე, ღამით ჩაალაგებდნენ ბარგს და წავიდოდნენ. ერთ წერილსაც არ ტოვებდნენ. ხო და ბოლოს კი დარჩა სამი ოჯახი. ბებიაჩემი ყოველ დილით ჭიშკართან ოჯდა, ელოდებოდა რომელიმე დღის შუქზე წასვლას თუ გაბედავდა.

ჩვენკენ მიტოვებულმა სახლებმა იმატა.

ერთ დღეს იკენე გამოჩნდა, ჩაბნელებულ ორღობეში, ცეცხლისფერთმიანი იკენე”.

გაგრძელება მე-4 გვ.

თსუ გამომცემლობა – ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში უკვე მეორედ მონაწილეობს, თუმცა უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების წარდგენის საშუალება წელს პირველად მიეცა.

გვ. 3

„მისია 2015“ – სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსი – „მისია 2015“ იწყება. წელს პროექტის პარტნიორი კომპანია „თიბისი“ ბანკი იქნება.

პარტნიორი კომპანიის გადაწყვეტილებით ელექტრონული წიგნების სახლი "საბა" კონკურსის ყველა მონაწილეს საჩუქრად 10 ელ.წიგნს გადასცემს.

თსუ-ს სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში – “მისია“ უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან.

გაგრძელება გვ. 4

„სუპერ-ეგო“ – ახალი პროექტი ახალგაზრდულ პრობლემებზე

გვ. 3

სტუდენტთა საპროტესტო აქცია შეწყდა

პირველი გვერდიდან

იყოს უსაშველო;

- დარეგულირდეს პრემიების საკითხი და გახდეს ტრანსფარენტული;
- რექტორის მხრიდან აღარ მოხდეს უნივერსიტეტისთვის საკუთარი წიგნების მიყიდვა;
- ლიტერატურის თარგმნის პროცესი გახდეს მეტად ინტენსიური და არსებული ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების შექმნას მიეცეს მსვლელობა (მოხდეს რობოტოსკანერის აქტიური გამოყენება ამ მიმართულებით);
- საეჭვო ტენდერების საკითხზე განხორციელდეს გამოძიება, რათა თავიდან იქნას აცილებული თანხების არამიზნობრივი ხარჯვა/ფლანგვა.

თსუ აკადემიური საბჭოს განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ნაწილმა გარკვეული პრობლემების მოგვარების მიზნით საპროტესტო აქციებს მიმართა. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო პატივს სცემს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას, თუმცა არასწორად მიიჩნევს მოთხოვნების შესასრულებლად რადიკალური ზომების, ამ შემთხვევაში შიმშილობის ფორმის, გამოყენებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია, რომელშიც ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულყოფა მუდმივად ხდება. გარკვეული პრობლემები ნამდვილად არსებობს, რომელთა გადაჭრა ეტაპობრივად, მხოლოდ დიალოგის გზით, სამუშაო რეჟიმში და სტუდენტების უშუალო ჩართულობით უნდა მოხდეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მოგმართავთ, უარი არ თქვათ დიალოგსა და თანამშრომლობაზე, რადგან თითოეული ჩვენგანი არის უნივერსიტეტის ნაწილი, რაც დიდი პასუხისმგებლობაა. ყოველი ნაბიჯი მხოლოდ უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით და უნივერსიტეტის სასარგებლოდ უნდა გადავდგათ.

თსუ რექტორის კომენტარი სტუდენტური თვითმმართველობის მოთხოვნებზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ** სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა მოთხოვნასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მისი თქმით, იგი შეხვდა თვითმმართველობის წარმომადგენლებს, გაეცნო მათ ათპუნქტიან მოთხოვნას, რომელსაც თავადაც ეთანხმება და რომელთა ნაწილის შესრულება საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს, დანარჩენის მოგვარება შიდა რესურსებით შეიძლება: ***„ინტენსიურად მუშაობს კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს რექტორის მოადგილე, პროფესორი იოსებ სალუქვაძე. არის სხვა პრობლემაც. მაგალითად, ერთ-ერთი პრობლემა არის სახელმძღვანელობის თარგმნა. მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, დაიწყო პროცესი. წელს გვქონდა ორი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია. სქელგანიანი სახელმძღვანელოების თარგმნას დრო სჭირდება. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა დარჩა, მაგრამ ჩვენ მივდივართ ამ პრობლემის მოგვარების გზით. რაც შეეხება დარღვევებს, უნივერსიტეტში სახელმწიფო აუდიტის სამსახური იყო შემოსული, მისი დასკვნა არსებობს, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში ყველასთვის. არის რეკომენდაციები, ამ რეკომენდაციების მიხედვით ჩვენ ვმუშაობთ მათ გამოსასწორებლად. რაღაც ნაწილი უკვე გამოსწორდა, რაღაცაზე მიმდინარეობს მუშაობა. მე არასდროს მქონია სტუდენტებთან შეხვედრის პრობლემა. მზად ვარ კიდევ ნებისმიერ დროს შევხვდე. რაც შეეხება საკითხს თითქოს უნივერსიტეტში არსებობს დარღვევები - ამის შესასწავლად არსებობს შესაბამისი ორგანოები, მოვიდნენ, შეგვისწავლონ. ჩვენ აბსოლუტურად ღია ვართ, მზად ვართ ყველაფერზე ვაგოთ პასუხი,“-** აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

რექტორი არ დაეთანხმა ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს უნივერსიტეტის ბიუჯეტში თვითმმართველობისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა. მისი თქმით, ***„უნივერსიტეტის ბიუჯეტში თვითმმართველობისთვის ცალკე თანხა არასდროს ყოფილა გაწერილი. თვითმმართველობა წარმოადგენს პროექტებს, რომელიც ან სრულად უფინანსდებათ, ან ნაწილობრივ, ან არ უფინანსდებათ. ამიგომ არ შეესაბამება სამართლეს ბიუჯეტში თვითმმართველობისთვის თანხების შემცირება.“***

თსუ რექტორმა კომენტარი გააკეთა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაზე. მისი თქმით, ***„პირველი კორპუსი თავის დროზე გაარემონტა ბიძინა ივანიშვილის ფონდმა „ქართუმ.“ ეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამდე მოხდა. უნივერსიტეტს არ გააჩნია პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსება, ამიგომ საკუთარი თანხები მხოლოდ ალაგ-ალაგ რემონტის ჩასაგარებლად გვყოფნის. წელს პირველად გამოყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თანხა ჩვენი კორპუსების გარემონტებისთვის. გარემონტდება ორი კორპუსი - მესამე და მედიცინის ფაკულტეტის კორპუსები.“***

ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებით ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, რომ „*ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების საფუძველზე წელს პირველად დაწესდა სამეცნიერო გრანტები, რომელშიც პროფესორებს სტუდენტების ჩართვა ევალებათ. ამისთვის გამოიყო ნახევარი მილიონი ლარი. ამის გარდა მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ყოველი ფაკულტეტიდან 5-5 დოქტორანტის სწავლა დაფინანსდება. მე ზოგადად რევოლუციური ნაბიჯების წინააღმდეგი ვარ, მით უმეტეს უნივერსიტეტში, ევოლუციურად ვადგავართ სწორ გზას და ამას მოწმობს სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგი. დღეს კომისიის ბაზაში პირველად გაჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აქამდე საერთოდ არ გვცნობდა ეს ბაზა. მართალია, ჩვენ არ ვართ ყველა მიმართულებით მსოფლიოს 750 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის, მაგრამ ერთ-ერთი - ფიზიკის მიმართულებით 187-ე ადგილზე ვართ მსოფლიოს 248 წამყვან უნივერსიტეტს შორის. შემოვიღეთ სამეცნიერო სტანდარტი პროფესორებისთვის; გეგმაში გვაქვს პროფესორების დაგვირთვაში დოქტორანტების ხელმძღვანელობის ჩართვა. საქართველოში პირველებმა შემოვიღეთ პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი. ასეთი რამ ჯერ საქართველოში არსად არ არის. შარშან 5 პოსტდოქტორანტი დავასაქმეთ უნივერსიტეტში, წელს 7 ადგილზე გამოვაცხადეთ კონკურსი. ყველაფერს ამას ვაკეთებთ აღმინისტრაციული ხარჯების შემცირების ხარჯზე.“*

ვლადიმერ პაპავამ განმარტება გააკეთა ე.წ. ბიოლოგების კორპუსთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე: „*ათეულობით წელია ბიოლოგების კორპუსის გვერდით მშენებლობა დაკონსერვებულია. ჩვენი სურვილი იყო, აქ აშენებულიყო სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. საკითხს მხარი დაუჭირა უნივერსიტეტის სენატმა. ჩვენ ძვირი გვიჯდება გაცვლითი პროგრამებით ჩამოსული უცხოელი სტუდენტის თუ ლექტორის შენახვა. მათთვის ჩვენ ვქირაობთ ბინებს. საერთო საცხოვრებლის აშენების წინადადებით მოგვმართა ჯერ ერთმა, შემდეგ მეორე კომპანიამ. დავიწყეთ მიმოწერა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებთან. ყველა ეს დოკუმენტი სჯაროა და მისი გაცნობა ნებისმიერს შეუძლია. მალე უნივერსიტეტი გააკეთებს განცხადებას ამასთან დაკავშირებით.“*

რაც შეეხება სტუდენტური თვითმმართველობის მოთხოვნას რექტორის გადადგომის, წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილობის გამოცხადების შესახებ, ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, რომ მისი გადადგომის საკითხი საერთოდ არ განიხილება. „*ძალიან დამწყდება გული, თუ სტუდენტები შიმშილობის გადაწყვეტილებას მიიღებენ. მე პასუხისმგებლობა აღებული მაქვს არა როგორც ლადო პაპავას, არამედ როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელს. ვაცნობიერებ, თუ რა პრობლემებს შექმნის რექტორის გადადგომა ამ ვითარებაში. კანონი ამ შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევას ითვალისწინებს. სულ ცოტა ერთი თვე მაინც იქნება უნივერსიტეტი პარალიზებული. მოახლოებულია კანცლერის არჩევნები, მას თავისი ვადები აქვს კანონით განსაზღვრული. უნივერსიტეტის პარალიზებაზე რექტორი ლადო პაპავა არ წავა. ძალიან არ მინდა დავიჯერო და შორს ვდგავარ იმ აზრისგან, რომ სტუდენტური თვითმმართველობის უკან რომელიმე პოლიტიკური ძალა დგას. თუკი არის რაიმე გაუგებრობა, სტუდენტებთან კომუნიკაცია არ მიჭირს- მზად ვარ მათ შევხვდე, მზად არიან ფაკულტეტების დეკანები შეხვედრისთვის. ჩვენ ვმოქმედებთ მხოლოდ კანონის ფარგლებში. იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მე როგორც რექტორს მაქვს, არ გავურბივარ, მე ამას ვაცნობიერებ. არ მინდა უნივერსიტეტს მივაყენო დარტყმა. მე ვარ კანონის საფუძველზე არჩეული რექტორი, ვასრულებ ჩემს მოვალეობას. ვფიქრობ, რომ შეიძლება ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ გვაქვს და ეს მართლაც ასეა, მაგრამ მცირე ნაბიჯებით, რა რესურსიც ჩვენ გვაქვს, მივდივართ სწორი მიმართულებით. სტუდენტებს მოვუწოდებ გონიერებისკენ. უნივერსიტეტი არის აპოლიტიკური ორგანიზაცია, ნუ გავაკეთებთ ისეთ რამეს, რაც უნივერსიტეტს ზიანს მიაყენებს. სტუდენტები ახალგაზრდები არიან, რა თქმა უნდა, მაქსიმალისტები, ემოციურები, ეს ძალიან კარგია, მაგრამ კიდევ ერთხელ გაიაზრონ - ჯობია იყოს კომუნიკაცია, თანამშრომლობა და არა დაძაბულობა. შიმშილობა მათი ჯანმრთელობისთვის ცუდია. ნამდვილად არ გამიხარდება მათი ცუდად ყოფნა. მაგრამ მოდით, მათაც იზრუნონ უნივერსიტეტზე. ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა გავიაზროთ, თუ რა მოჰყვება მას. თუ ამას უნივერსიტეტის ინტერესების შელახვა მოჰყვება, მე, რა თქმა უნდა, ამას არ დავუშვებ.“*

დიალოგი სტუდენტებთან

პირველი გვერდიდან

აკადემიური რეგისტრაციისას შექმნილი პრობლემების შესახებ სტუდენტებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ და საინფორმაციო ტექნოლოგიების უფროსმა ტარიელ ზარანდიამ უპასუხეს. მათ პრობლემები ტექნიკური საკუთხების მოგვარების აუცილებლობით ახსნეს და, თავის მხრივ, იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომლის გადაჭრაც ამ პროცესში უხდებათ. იქვე ფაკულტეტის დეკანმა სტუდენტებს შესთავაზა ინფორმაცია პრობლემის შესახებ დროულად მიაწოდონ, რათა გადაჭრა ოპერატიულად შეძლონ.

თსუ-ის სტუდენტებს, რომლებიც აკადემიურ წელს იღებენ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა თუ სხვა მიზეზის გამო, ხშირად უწევთ დამატებითი სასწავლო სემესტრის ან წელის დამატება. ამის მიზეზი ისაა, რომ ხშირად ვერ ახერხებენ ისეთი საგნის არჩევას, რომლის მოსმენაც სხვა საგნის წინაპირობაა. ამ პრობლემაზეც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ისაუბრა. დამატებითი სემესტრი კი, მოგეხსენებათ, დამატებითი ფინანსური დანახარჯია.

თსუ აღმინისტრაციაში აცხადებენ, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად კონკრეტული ქმედებები უკვე განახორციელეს. “სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არის საგნები, რომლებიც მხოლოდ გაზაფხულის, შემოდგომის ან ორივე სემესტრში იხსნება. ეს პრობლემა, რომელიც თქვენ წამოჭერით, სხვა სტუდენტებსაც აქვთ. ამიგომ, სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებს უკვე შევუთანხმდი და ყოველ სემესტრში სულ ცოტა 120-125 კრედიტი დაემატება და სტუდენტები შეძლებენ საგნებზე დარეგისტრირებას, აღარ მოუწევთ დამატებითი სემესტრის აღება.”, – აღნიშნა თამარ დოლბაიამ. თსუ-ის რექტორმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პრობლემების მიზეზები განმარტა. მისი განცხადებით, ამის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, დეკანის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლების ყოფნა გახლდათ. აქვე რექტორმა განაცხადა, რომ აუცილებელია, რომ სტუდენტებმა შეატყობინონ კომისიას პრობლემების შესახებ. პროფესორთა გაცდენას “რაც შეეხება, უნივერსიტეტში არსებობს ეთიკის კომისია, რომელიც მსგავს საკითხებს წყვეტს. ამა თუ იმ დარღვევის შესახებ კომისია იმსჯელებს და მისი დასკვნის შესაბამის სადამსჯელო ღონისძიებებს გავატარებთ“, – განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

შეხვედრაზე სტუდენტებმა თსუ-ის ინფრასტრუქტურის პრობლემზეც ისაუბრეს. კერძოდ – აუდიტორიების მდგომარეობაზე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც დასვეს კითხვები. ისაუბრეს იმაზე, რომ აუდიტორიის ნაწილში ბნელა, არ არის საკმარისი აღგილები და ა.შ.

სარემონტო სამუშაოების აუცილებლობას ვლადიმერ პაპავამაც გაუსვა ხაზი. მისი განმარტებით, სახელმწიფო დაფინანსების გარეშე უნივერსიტეტის ბიუჯეტი ფართომასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ვერ გაწვდება, თუმცა სხვადასხვა პროექტისა თუ ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული სარემონტო სამუშაოები ხორციელდება. მაგალითად, თსუ-ში სანდიეგოს უნივერსიტეტის შემოსვლის შემდეგ პარტნიორმა უმაღლესმა სასწავლებელმა II და XI კორპუსებში ლაბორატორიები,

აუდიტორიები, ბიბლიოთეკა გაარემონტა. “მივესალმები თქვენს დამოკიდებულებას უნივერსიტეტის მიმართ.

“უნივერსიტეტში არსებულ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომაც უნდა აიღოს. დღეს ერთადერთი შემოსავალი სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურია. გამოსავალი სახელმწიფო დაფინანსების მიღებაა. მინდა გითხრათ, რომ ამ მხრივ უნიკალური ქვეყანა ვართ, ევროპულ ქვეყნებში უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების დაახლოებით 40 პროცენტს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა შეადგენს. ამ საკითხზე ვმუშაობთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, გვპირდებიან დაფინანსების სქემის შემუშავებას, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული არაფერია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ჩვენ თსუ-ის III კორპუსის გასარემონტებლად თანხა მივიღეთ, რაც ეტაპობრივად განხორციელდება. ვაპირებთ, ასევე, მედიცინის ფაკულტეტის კორპუსის გარემონტებას, სადაც საკმაოდ სავალალო მდგომარეობაა. ამჟამად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ მივიღოთ დაფინანსება II კორპუსის პერიმეტრის გასარემონტებლად. მთლიანი რემონტი ძვირი – 50 მილიონი ლარი ჯდება. ასეთი თანხის გამოყოფა უნივერსიტეტისთვის წარმოუდგენელია. არ მინდა გეგონოთ, რომ სტუდენტების მიერ გადახდილი თანხით არაფერს ვაკეთებთ. X კორპუსში გამოიცვალა ფანჯრები, იქაც საკმაოდ სავალალო მდგომარეობა იყო. II კორპუსის 48 აუდიტორიის პრობლემაზე დიდი ხანია საუბრობენ და ვეგეგმავთ მის გარემონტებას. თუმცა არსებული შემოსავალი სრული რეაბილიტაციისთვის საკმარისი არ არის” – განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ემერიტუსი ლექტორების ლექციებით უკმაყოფილებაზე ისაუბრა და თქვა, რომ უნივერსიტეტისგან სტუდენტები ახალ მეთოდებს და ახალ მიდგომებს და ახალ ლექტორებს ელიან.

აღნიშნულ მოსაზრებას იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე თამარ ზარანდია გამოეხმაურა, რომელმაც სტუდეტებს არსებული არჩევანის უფლებით სარგებლობისკენ მოუწოდა. თსუ-ის რექტორის რეკომენდაციით, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და აღმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის ემერიტუს პროფესორებთან დაკავშირებით დიალოგი გაგრძელდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა დასაქმებას ეხებოდა. სტუდენტებს ყოველთვის აინტერესებდათ, თუ რამდენად აქცევს უნივერსიტეტი ყურადღებას კურსდამთავრებულთა დასაქმებას. კითხვა ამის შესახებ შეხვედრაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა დასვა.

ამ კითხვაზე პასუხად თსუ რექტორმა წელს “პოსტდოქტორანტურის” ინსტიტუტის შემოღება გაიხსენა, აღნიშნა რა, რომ: შარშან მივიღეთ 4 პოსტდოქტორანტი, წელს კი კონკურსის გამოცხადებას 7 ადგილზე ვაპირებთ. ჩვენ საუნივერსიტეტო რესურსის გათვალისწინებით საუკეთესო სტუდენტებს დოქტორანტურაში უფასოდ სწავლას ვთავაზობთ, სადოქტორო ნაშრომს საუკეთესოდ ვინც დაიცავს, მათ შეუძლიათ თსუ-ში პოსტდოქტორანტურის ფარგლებში კიდევ 2 წელი კვლევა გაგრძელონ“, – განაცხადა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

ცხადია, მსგავსი ფორმატის შეხვედრაზე ყველა პრობლემის დასმა და, მით უმეტეს, მისი გადაწყვეტა ვერ მოხდებოდა. უნივერსიტეტის აღმინისტრაციამ პრობლემებზე საუბრის და მათი გადაჭრისთვის ზრუნვის პირობა დადო და სამომავლო დიალოგისთვის მზადყოფნა კიდევ ერთხელ გამოთქვა.

ქართველოლოგია საქართველოს საგლვრებს გარეთ

პირველი გვერდიდან

სექციის – „შუა საუკუნეების ქართული კულტურა“- შეჯამება

კონგრესზე სექციის დაშვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა მდგომარეობდა იმაში, რომ სექციის მონაწილეები უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა სასწავლო, თუ კვლევითი დაწესებულებებიდან და სასურველი იყო სხვადასხვა ქვეყნიდანაც. სწორედ ამიგომ სექციების ორგანიზაგორმა კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა ცნობილ ქართველოლოგებს საქართველოს და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან.

ქართველოლოგიური სექციების ორგანიზება უაღრესად პრესტიჟულ, ტრადიციულ მსოფლიო კონგრესზე განპირობებული იყო იმ დიდი სიახლით ევროპული ლიტერატურის ისტორიაში, რაც უკანასკნელი წლების ქართველოლოგიური კვლევების საფუძველზე პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ გამოავლინა. კერძოდ, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი ნაცნობი იყო XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის უმაღლესი ლიტერატურული წრეებისათვის. ამ პრობლემის კვლევისთვის, თბილისის სახელომწიფო უნივერსიგეტში, ამჟამად, მუშაობა ორი მიმართულებით ხორციელდება: ა) ტარდება ყოველკვირეული სემინარები პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის თაოსნობით, სადაც მიმდინარეობს ახალი მასალების მოძიება – გაცნობა და ბ) ამ სიახლის პოპულარიბება უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. სწორედ ამ მიზნით, პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ ორგზის, 2009 და 2014 წლებში, წაიკითხა მოხსენებები ყველაზე მასშგაბურ და მნიშვნელოვან მედიევისგთა მსოფლიო კონგრესზე, რომელიც გარდება დასავლეთ მიჩიგანის (აშშ) უნივერსიგეგში. 2009 წელს ქართველი მეცნიერის მოხსენებამ კონგრესის სპეციალური ჯილდო მოიპოვა. ქართული ლიტერაგურის ისგორიისა და ინგლისური ლიტერაგურათმცოდნეობის ამ სიახლის თაობაზე პროფესორმა ე. ხინთიბიძემ, 2014 წლის ნოემბერში, ლონდონის უძველეს უნივერსიგეგში (University Collage London) წაიკითხა საჯარო ლექცია: „ვეფხისტყაოსანი“ შექსპირის ციმბელინის ლიტერაგურული წყარო“, რომელსაც აუდიგორია დიდი ინგერესით და მოწონებით შეხვდა. 2014 წლის დეკემბერში პოლონეთში, ვარშავის უნივერსიგეგში წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის მე-12 საერთაშორისო კავკასიოლოგთა კონფერენციაზე მოხსენება „რუსთველოლოგიური მეცნიერების დიდი სიახლე – ვეფხისტყაოსანი XVII საუკუნის ინგლისური დრამაგურგიის სიუჟეგური წყარო“ წარადგინა პროექტის მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერმა თამთა გრიგოლიამ, პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძესთან თანაავგორობით.

სწორედ ამგვარი მუშაობის გაგრძელება იყო 2015 წლის ივლისში უაღრესად პრესტიჟულ მედიევისგთა მსოფლიო კონგრესზე ლიდსში, დიდ ბრიგანეთში დაგეგმილი ორი ქართველოლოგიური სექციის – „შუა საუკუნეების ქართული კულტურა“ და „შოთა რუსთაველი – XII საუკუნის ქართველი პოეგი და მოაზროვნე“ მუშაობა.

ქართველოლოგიური სესიების მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ უცხოელი ქართველოლოგები. სექციის „შუა საუკუნეების ქართული კულტურა“ მოდერაგორი და ხელმძღვანელი იყო პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე. მოხსენებები წაიკითხეს ინგლისიდან პროფესორმა დონალდ რეიფილდმა – „რელიგიური ტოლერანტობა და არატოლერანგობა შუა საუკუნეების ქართულ ლიტერაგურაში“, იგალიიდან პროფესორმა გაგა შურღაიამ – „ვახტანგ I გორგასლის (440-502) საეკლესიო რეფორმა“, თბილისის სახელწიფო უნივერსიგეგიდან დოქტორანგმა ირმა მაკარაძემ – „აღმოსავლური სიუჟეგის განახლება XVII საუკუნის ინგლისურ დრამაგურგიაში – „ვეფხისტყაოსნის“ კვალი XVII საუკუნის ინგლისში“ .

ცნობილმა ქართველოლოგმა დონალდ რეიფილდმა (Department of Russian, Queen Mary University, London) განიხილა რელიგიური ტოლერანტობა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის, ბაგრაგ მუხრანბაგონის „მოთხრობაა სჯულთა უღმერთოთა ისმაილიტთაას“, რუის-ურბნისის სინოდის ტექსტის და სამთავისის ეპისკოპოსის კანონების ტექსტებში არსებული ფაქტების მოშველიებით;

ვენეციის უნივერსიგეგის პროფესორმა, გაგა შურღაიამ (Dipartimento di Studi sull'Asia e sull'Africa Mediterranea, Ca' Foscari University of Venice) წარმოადგინა მოხსენება ვახტანგ გორგასლის რეფორმაზე, მისი განხორციელების თარიღებზე და მის მნიშვნელობაზე ქართლის ეკლესიის რეორგანიზაციის პროცესში;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიგეგის დოქტორანგმა ირმა მაკარაძემ ისაუბრა შექსპირის ციმბელინის ქართულ წყაროზე, რომლის მიღწევა XVII საუკუნის ინგლისის დრამაგურგიულ წრეებამდე, სარწმუნო ვარაუდით, უკავშირდება ცნობილ ინგლისელ დიპლომაგს ანგონი შერლის და მის ვიზიგს სპარსეთის შაჰის კარზე.

სექციას „შოთა რუსთაველი – XII საუკუნის ქართველი პოეგი და მოაზროვნე“ თავმჯდომარეობდა პროფესორი დონალდ რეიფილდი. მოხსენებები წაიკითხეს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიგეგის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ – „სიყვარულის კონცეფციის განახლება და გადააზრება შუა საუკუნეებიდან რენესანსისკენ“; ამერიკელმა ქართველოლოგმა ბერგ ბეინენმა (Osher Lifelong Learning Institute, Temple University, Philadelphia) – „შოთა რუსთაველის მეგობრობის ფილოსოფია: არისგოგელური თუ ქართული?“; იგალიელმა პროფესორმა ლუჯი მაგაროგომ (Dipartimento di Studi Linguistici e Culturali Comparati, Ca' Foscari University of Venice) – „ვეფხი-ს მნიშვნელობა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში“.

პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულის ახალ ფილოსოფიურ კონცეფციაზე – ადამიანური სიყვარულის ღვთაებრივ გადააზრებაზე, რომელიც შენიშნულია გვიანი შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერაგურაში და რომლის უფრო ადრინდელი და თავისებური გააზრება და მხაგვრული ასახვა ჩანს „ვეფხისტყაოსანში“.

პროფესორმა ლუიჯი მაგაროგომ ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული და სპარსული თარგმანების საფუძველზე რუსთველის „ვეფხზე“, რომელიც უნდა ითარგმნოს, როგორც ლეოპარდი ან პანტერა და არა ვეფხვი.

სექციის – „შოთა რუსთაველი – XII საუკუნის ქართველი პოეგი და მოაზროვნე“ – შეჯამება

სესიებს ესწრებოდნენ მედიევისგები სხვადასხვა ქვეყნებიდან: ამერიკა, დიდი ბრიგანეთი, იგალია და ა.შ. მოხსენებების წარდგენის შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია. უცხოელი კოლეგები დაინტერესდნენ ქართველოლოგიური მეცნიერებისთვის პრობლემური სხვადასხვა საკითხით: რა გზით მივიდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეგი ინგლისის დრამაგურგიულ წრეებამდე? რა არის საფუძველი

ვეფხისტყაოსნისეული მეგობრობის კონცეფციის? კითხვები დაისვა ასევე, რელიგიური ტოლერანტობის შესახებ საქართველოში და ა.შ.

ქართველოლოგიური სესიების მუშაობა დიდი წარმაგებით წარიმართა – უცხოელმა და ქართველმა ქართველოლოგებმა შეთანხმებულად შეჯამეს ქართველოლოგიური მეცნიერებებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხი. ამგვარი გამოცდილების გაზიარება, უახლესი ქართველოლოგიური კვლევების გაცნობა, ინფორმაციის გაცვლა ძალზედ მნიშვნელოვანია ქართველოლოგიური მეცნიერებებისა და ქართული კულტურის პოპულარიზების საქმეში.

გარდა ქართველოლოგიური სექციებისა, კონგრესზე მოხსენებებით წარდგნენ მედიევისგები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიგეგიდან. კერძოდ, თსუ-ს პროფესორმა მარიამ ჩხარგიშვილმა წაიკითხა მოხსენება „დავით აღმაშენებელი შუა საუკუნეების და თანამედროვე ნარაგივში“. ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის (თსუ) თანამშრომელმა, დოქტორანგმა სოფიო გულიაშვილმა ისაუბრა თემაზე: „შუა საუკუნეების აგიოგრაფიის გადააზრება თანამედროვე ევროპისთვის.“

„სუპერ-ეგო“ – ახალი პროექტი ახალგაზრდულ პრობლემებზე

უმაღლესი განათლების ბრწყინვალება და სიღაგაკე – ასეთი იყო თემა ტელე-პროექტ „სუპერ ეგოს“ პირველი გადაცემის დისკუსიის მთავარი თემა. სგუდიაში მოწვეულ თსუ–ის სტუდენტებსა და განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელ ირინე დარჩიას ამჯერად ჟურნალისტი თამარ ჩიქოვანი მასპინძლობდა.

პროექტი „სუპერ-ეგო" თსუ-ს გადაცემა „უნივერსიტეტის" შემადგენელი პროექტია.

„სუპერ-ეგოს" მთავარი აქტორები თსუ-ს სტუდენტები იქნებიან. პროექტს წარუძღვებიან ჟურნალისტები: თამარ ჩიქოვანი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე, სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი და მუსიკოსი ზაზა ხუციშვილი. პროექტ „სუპერ-ეგოს" ამოცანაა-უნივერსიტეტის სივრცეში აღდგეს დისკუსიური საუბრების ტრადიცია ახალგაზრდულ პრობლემატიკაზე ახალ თაობაში ჯანსაღი ფასეულობების დამკვიდრების მიზნით. პროექტს თსუ-ს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფი ახორციელებს. საგელევიზიო პროდუქტი თსუ-ს „მულტიმედიაცენტრის" ბაზაზე მომზადდება.

პირველი გადაცემის წამყვანი თამარ არცევანი პროექტში ონაწილოების გადაწყვეტილებას ასე განმარტავს: „თსუ-ს საგელევიზიო პროექტის „სუპერ-ეგოს" წამყვანის როლის შეთავაზებას აღვილად დავთანხმდი. არგუმენტი რამდენიმე მქონდა. ის, რომ ეს თსუ იყო - უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც თავის დროზე ვსწავლობდი; ის, რომ გადაცემის სხვა წამყვანებს - რამაზ საყვარელიძეს, იაგო კაჭკაჭიშვილს და ზაზა ხუციშვილს - არა მხოლოდ დიდ პატივს ვცემ, ვმეგობრობ კიდეც; და მთავარი არგუმენტი - სტუდენტებთან ურთიერთობის საშუალება. თაობები ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან - ეს ბუნებრივიცაა. არაბუნებრივია ის გაუცხოება, როცა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელს ერთმანეთის არა მარგო არ ესმის, არც აინტერესებს, რა პრობლემებთან უწევს მეორეს შეჯახება.

ვფიქრობ, ჩემთვის ეს მცირე, მაგრამ მაინც კარგი საშუალებაა, უშუალოდ სტუდენტებთან, ახალ თაობასთან ურთიერთობისას შევიტყო, როგორები არიან ისინი, ვინც სულ მალე მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. ამიგომაც მომწონს „სუპერ-ეგო"".

პროექტისთვის მუსიკა სიმღერა მუსიკოსმა ზაზა ხუციშილმა შექმნა, რომელიც ამასთანავე გადაცემის ერთ-ერთი წამყვანია. იგი ამბობს, რომ ტელეპროექტ "სუპერ ეგო"-ს წამყვანობა მისთვის საინტერესოა, რადგან ეს სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ხშირი შეხვედრებისა და დისკუსიის საშუალებაა; „ მათი პრობლემების მოსმენა, მათი აზრის გაგება, ვფიქრობ, მაყურებლისთვის და წამყვანისთვისაც მხოლოდ სიკეთის მომგანი იქნება!" - აცხადებს ზაზა ხუციშვილი.

გადაცემა „სუპერ ეგო" ყოველ მეორე შაბათს გავა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში.

20 წელი ლარის შემოღების შემდეგ

„მიუხედავად კაგაკლიზმებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის 2 ათეულიწლისა,ლარიმაინცფეხზედგასდამყარია,მასაქვსმომავალი",- განაცხადა თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიგეგში ლარისშემოღების20წლისთავისადმიმიძღვნილსამეცნიეროსესიაზე. ღონისძიებაზე თსუ რექგორმა ლარის 20 წლის ისგორია მიმოიხილა და მოხსენება "პოსგსაბჭოთა საქართველოს ერთიანი ვალუგა: წარმაგებული რეფორმის და ლარის წინააღმდეგ ბრძოლის ოცი წელი" წაიკითხა. „საქართველოს ერთიანი ვალუგას, ლარს შემოღებიდან 20 წელი შეუსრულდა. ბუნებრივია, ეს ისგორიული თარიღია. ის ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა და დღეს, როდესაც ჩვენ ამ ისგორიულ პერიოდს ვიხსენებთ, ბევრს ინგერესი აქვს საკუთარი თავი წინ წამოწიოს და სურს ისგორიის გადაწერა. ამიგომ, დღევანდელი სამეცნიერო სესია, ეს არის მცირე ისგორია და მეგი ეკონომიკა იმის შესახებ, თურა მოხდა 20 წლის წინ და როგორ ებრძოდნენ ლარს შემდეგი 20 წელი",- აღნიშა თსუ რექგორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. ღონისძიებას საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სექგორის, აკადემიური წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თსუ პროფესორის ელგუჯა მექვაბიშვილის თქმით, „ლარი ერთიანი ვალუგაა და ეს არის ისეთივე აგრიბუგი სახელმწიფოსი, როგორიც არის დროშა, ჰიმნი. შესაბამისად, ლარის დაბადება იყო იმის დაფიქსირება, რომ საქართველომ რეალურად მოიპოვა სახელმწიფო დამოუკიდებლობა და დაიწყო დამოუკიდებელი ეკონომიკური სისგემის აგება. ამ დღის აღნიშვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, როდესაც ლარს უჭირს. განვლილი 20 წლის ისგორიის გაანალიზება მისი დადებითი შედეგებითა და ხარვეზებით არის იმის საფუძველი, რომ აღარ გავიმეოროთ შეცდომები და ის დადებითი ტენდენციები, კანონზომიერებები, რომელიც ამ 20 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, განვავითაროთ და ჩამოვაყალიბოთ ჭეშმარიგად ეროვნული, ძლიერი ვალუგა, რომელიც საქართველოს ეკონომიკის წინსვლის და აყვავების საფუძველი გახდება".

თსუ გამომცემლობა – ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიგეგის გამომცემლობა ფრანკფურგის წიგნის ბაზრობაში უკვე მეორედ მონაწილეობს, თუმცა უნივერსიგეგის მიერ გამოცემული წიგნების წარდგენის საშუალება წელს პირველად მიეცა. საქართველოს საერთო პავილიონში, რომელიც საქართველოს კულგურისა და ძეგლთა დაცვის სამინისგროს, ქართული წიგნის ეროვნული ცენტრისა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ იყო ორგანიზებული, თსუ გამომცემლობას ცალკე სგენდი ჰქონდა.

გამომცემლობამ მოწვევა 14 ოქგომბერს გამართულ ფრანკფურგის წიგნის ბაზრობაზე დასასწრებად დამოუკიდებელი რეგისგრაციის საფუძველზე მიიღო – შარშანდელ ბაზრობაზე სგუმრის სგაგუსით დასწრების შემდეგ.

ბაზრობაზე წარსადგენად გამომცემლობამ 2014-2015 წლებში გამოცემული წიგნები შეარჩია. კერძოდ, ქართულ და კავკასიურ ენებსა და კულგურასთან დაკავშირებული გამოცემები, რომლებიც, გამომცემლობის ხელმძღვანელთა აზრით, საინგერესო უნდა ყოფილიყო უცხოელი გამომცემლებისა და მკითხველისთვის.

ესენი იყო: „ქართული ლირიკის ანთოლოგია" „კელიშინის სგელა"; „აფხაზური ზეპირმეგყველების გაკვეთილები"; „ბეჟიგური ენა"; „ოსური მითები და რიგუალები", „იბერიულ-კავკასიურ ენათა ლინგვისგური ბიბლიოგრაფია". „ოსური ფოლკლორი", ჩერქეზული (ადიღეური) კულგურა", „ქართულ-რუსული ლექსიკონი", ვეფხისტყაოსანი", „როლფ შრადე".

დაინგერესებულ დამთვალიერებლებს თსუ გამომცემლბის წარმომადგენლები წინასწარ გამზადებულ ინგლისურენოვან ანოტაციებს სთავაზობდნენ.

ზოგადად, წიგნის ბაზრობებზე მონაწილეობა გამომცემლებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ეს ის აღგილია, სადაც კავშირები მყარდება უცხოურ გამომცემლობებთან. როგორც თსუ გამომცემლობის წარმომადგენლები აცხადებენ, იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიგეგი ამჟამად ახორციელებს მასშგაბურ პროექტს "უცხოენოვანი სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა", ფრანკფურგის წიგნის ბაზრობაში თსუ გამომცემლობის მონაწილეობა მართლაც შედეგიანი იყო. კერძოდ, შედგა შეხვედრები თარგმანის უფლებების დეპარგამენგების ხელმძღვანელებთან, რომლებთანაც გამომცემლობას უკვე დადებული აქვს ხელშეკრულებები. გარდა ამისა, პოგენციურ პარგნიორებთანაც.

მომავალი ბაზრობისთვის თსუ გამომცემლობა უფრო მრავალფეროვანი ექსპოზიციის წარდგენას, გამოცემული წიგნების კაგალოგის მომზადებას და წიგნების პრეზენგაციებს გეგმავს.

პროექტის „შემოდგომის ლეგენდა“ ფინალისტების ვინაობა ცნობილია

პირველი გვერდიდან

***

„ბაბა, ოჯახის უფროსი და მარჩენალი, ძმაკაცი, მამა და უბრალოდ გადასარევი ადამიანი, სასადილო ოთახში, მაგიდის თავში იჯდა. ადგილზე, რომლის დაკავების უფლებაც მხოლოდ მას ჰქონდა, როცა სახლში იყო. ადგილზე რომელიც ულაპარაკოდ საუკეთესო პოზიცია იყო კედელზე ჩამოკიდებული, იაფფასიანი, 24 ინჩიანი პლაზმური ტელევიზორის საყურებლად, შესაბამისად კი საუკეთესო ადგილი იყო მთელ ოთახნახევრიან, ევრო-რემონტიან „ხრუშოვკაში“. იჯდა ბაბა და უყურებდა ახალ ამბებს, თან ტუჩებს პრუწავდა და ჰაერის ნაკადებს ტალღა–ტალღა ისრუტავდა, გამოხრული კბილების გამოსასუფთავებად. შიგადაშიგ ახალ ამბებზე რეაგირებდა. ხმამაღლა, საოცარი დამჯერებლობით ისროდა კომენტარებს, ისეთი დამჯერებლობით, მარტო ხეპრე, გაუთლელ ადამიანებს რომ ახასიათებთ“.

***

„ცხრაჯერ აკეთებდნენ ერთი და იგივე საქმეს, ცხრაჯერ შედიოდნენ ერთსა და იმავე მდინარეში. ცხრაჯერ, გულის გაწყალებამდე მოგიყვებოდნენ ერთსა და იმავე ამბავს, ცუდსაც და კარგსაც, მაგრამ გულებამდე არ უშვებდნენ არც გახარებას, არც წყენას. რომ მიეშვათ, ცხრა გულის პაგრონები მაინც ადვილად მოინელებდნენ. ცხრაჯერ გაწითლდებოდნენ, ცხრა ტყუილს ისე ერთდროულად გეტყოდნენ, თვალს არ დაახამხამებდნენ და ცხრა პირი ტყავიც ქონდათ გადაკრული შუბლზე“.

***

„ორი დღეა ხმა არ ამოუღია. სახლში როცაა, მეტწილად მაგიდასთან ზის და ხელს უსვამს ზედაპირზე ამობურცულ ლურსმნებს. ფრჩხილებთან თითის ბალიშებზე შავი მელანი უსვია. ხატავს ფიგურებს, აწვება კალმის წვერს. უსმენს მუსიკას ლურჯი ყურსასმენებით. ხან ოთახიდან გადის, შედის სამზარეულოში, წყალს დაისხამს, ფანჯარას ჩამოეყრდნობა და უცქერს კორპუსებს ან კორპუსებში მცხოვრებ ადამიანებს, ქუჩის კუთხეში ლურჯად შეღებილ ძველ საწყობთან მდგარ კაცს, რომელიც ფსამს და აქეთ-იქით იყურება, ან ხორცის მაღაზიის დახლთან ჩამოკიდულ ხორცის დიდ ნაჭერს. მოკლედ, მეც არ ვიცი რას უცქერს“.

***

„პირველად რომ დავინახე, ბროწეულისფერი კაბა მეცვა, სოფლის ქალებთან ერთად მაგყლს ვჩეჩავდი. ტყიდან მოდიოდა, გარუჯულ სხეულზე უცნაურად ადგა მაისური,დაკოჟრილ ხელში ცული ეჭირა,შავ თმაში ალაგ- ალაგ ნაადრევი ჭაღარა გამოერეოდა, სახე მკაცრი ჰქონდა, ერთს შემოგხედავ და ქანდაკებასავით გაგხდიდა, სიტყვას ვერ დაუბრუნებდი, ჯიქურ მიყურებდა, ცულს ხელს მაგრად უჭერდა, ეს ქალიო ჩემი ქალიაო, ხელი აღარ დაედებაო, თქვა და ისევ ტყისკენ წავიდა. ასეთი წესი იყო ჩვენში სოფლად, ქალი ვიყავი და მორჩილება მმართებდა“...

***

„მე და ირაკლი ბავშვობიდან ერთად მოვდიოდით. ჩვენ ორი. ლეილა დეიდა გვიყვება, ირაკლიმ პირველად ბურთს ფეხი რომ დაარტყა, დათოს მოხვდაო. თუმცა ყოველთვის ირონიულად ამაგებდა, ირაკლიმ დაარტყა, დათო კი მაშინვე აღრიალდაო. მიყვარდა ლეილა დეიდა, მაგრამ მისთვის უცნობი იყო სიტყვა გუნდი. მე და ირაკლი მაშინ მეთერთმეტე კლასში ვიყავით. მე კარში ვიდექი, ირაკლი კი მიცავდა. ბიჭებს რომ წავეჩხუბებოდით, მაშინაც მიცავდა, ამის ხელებისთვის არ შეიძლებაო, და ერთ გემრიელ მუშტს ჩემ სახელზეც აგემებდა ხოლმე ჩაჩხიან თედოს. ჩვენ ერთ პატარა ეზოში ვცხოვდობდით: მე, ირაკლი, ავთო და ლილე“.

***

„ეს იმ დღეს მოხდა, როცა მეგობრებმა აიტეხეს ფილმს ვუყურო-თო... კინოსაღამოებს შაბათობით აწყობდნენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად გიზო შაბათს სოფელში აპირებდა წასვლას და სეანსმა პარასკევს გადმოიწია... როგორც ყოველთვის ბატი–ბუტი (მისი პოპკორნად წოდება მას შემდეგ შეწყვიტეს,რაც საზოგადოებას ფილოლოგიურის სტუდენტი ბონდო შემოუერთდა) ჩიფსები და ძმანი მისნი ყოველთვის მინდიას ამოჰქონდა,თან სულ წუწუნებდა,რომ ფილმის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ ყველაფერი ქრებოდა და ვერა და ვერ გაიგეს, ვინ ნთქავდა მათ“.

***

„საფეხურებს შორის მანძილი იმხელაა, რომ ლეას უწევს თითოეულზე ჯერ მარჯვენა ფეხი ადგას, მერე მარცხენა ფეხი ასწიოს და მარჯვენას მიაგყუპოს, წამით შეყოვნდეს და ახალ საფეხურს შეერკინოს. სხვენის ღიობთან მდგარი ანრი დაჰყურებს და მოთმინებით უცდის, ბოლო საფეხურზე ამომძვრალს ფუნჩულა ხელზე ხელს სჭიდებს და ორივენი მაშინვე სარკმლისკენ გარბიან. მთელს სახლში არც ერთი ფანჯრიდან არ მოჩანს ის, რაც შეიძლება აქედან დაინახო. სახლი მთაზე დგას, მდინარისკენ მკვეთრი დაქანებით, შენობის გარშემო უზარმაზარი წიწვნარია და ფანჯრებიდანაც და ეზოში მოთამაშეებიც მხოლოდ მათ მაღალ ღეროებსა და ერთმანეთში გადაბლანდულ ტოტებს ხედავენ“.

***

„ალიკაზე ამბობდნენ, მაგის შვილებს რომ დასჭირვებოდათ, ალიკა მთას გადაღგამდაო. დასჭირდათ ერთხელ და აღარ იყო არც ალიკა და აღარც მაგათი დედა, რომელიც სანამ ალიკას ცოლი გახდებოდა სხვა სოფელში ცხოვრობდა. სხვა სოფლიდან ალიკას სოფლამდე შორი გზა იყო და სულ თოვლიანი. რომ მოდიოდა ეს ქალი, მაგის ნაკვალევს თოვლი ავსებდა და ვეღარ მოაგნეს მერე. უყვებოდა ხოლმე შვილებს, ბაბუათქვენმა დაიფიცაო, თუ მაგ ვაშლის გამყიდველის შვილს გაყვები, მკვდარი ხარო ჩემთვის. ვაშლის გამყიდველი ალიკას მამა იყო. ალიკას მამაზე არასოდეს უთქვამთ ალიკასავით, მთის გადაღგმა შეუძლიაო შვილებისთვს. სადგურზე იდგა და თავის ეზოში მოკრეფილ ძალიან ბევრ და სხვადასხნაირ ვაშლს ყიდდა. მერე ვიღაცამ შარი მოსდო, დამპალი ვაშლი მომყიდეო და ვერ გაუძლო იმისმა გულმა. ბევრი უნერვიულია თურმე. სახლიდან არ გამოდიოდა მთელი კვირა. მერე უთენია ამდგარა ერთ დილას და იმ ხესთან მისულა, ძალიან დიდი რომ გაიზარდა, მაგრამ არც ერთხელ რომ არ მოუსხამს ნაყოფი. იმდენი ხანი ურტყა თავი მერქანს, სანამ არ მოკვდა“.

***

„რა დასამალია და, ხაბელოვის გვარის მატარებელი ყველაზე ხნიერი ხაბელოვა ძველი დროის ბოზი იყო, თანამედროვეები მას სავეცკი ბოზსაც ეძახიან, ხშირად ნაბოზრადაც მოიხსენიებენ. ბევრი ცუდი ახსოვს სოფელს ამ ქალისგან, ბევრი ბოროტება, ბევრი მუხთლობა, მაგრამ ერთ რამეს ვერაფერს უზამდნენ, აწ უკვე ხნიერი ხაბელოვა ყოველთვის ახერხებდა სოფლის გაოცებას, ყოველთვის ახერხებდა დაუსრულებლად ელაპარაკათ მასზე, ყოველთვის ახერხებდა შეენარჩუნებინა სილამაზე და არსაიდან მოსული, აუხსნელი გრაცია. ხაბელოვას ქალი სხვათა მსგავსად ნიკიტაურში დაიბადა, იქვე გაიზარდა, მაგრამ მაინც მოახერხა აეჩურჩულებინა თავწაკრული ქალები, მოახერხა თავწაკრული ქალების ქმრებს ხელი აეღოთ ცოლებზე, ბევრი რამე მოახერხა. ერთ-ერთი თავწაკრული ქალის ქმრისგან შვილიც გააჩინა, გვარი რა თქმა უნდა არავინ მისცა ახალშობილს, შედგა პატარაც ხნიერი ხაბელოვას გვარზე“.

***

ამ ნაშრომების ავტორები სტუდენტები არიან – ნიჭიერი ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. შემოდგომის ლეგენდა 2015 – ფინალისტები არიან:

ზურა აბაშიძე – „ორი ქალი და მანოლა“ – (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ბექა ბერაძე – „ახალი ამბები“ (შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ანი გიგაშვილი – „ამბავი მიტოვებულთა“ (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი)

მარიამ ზუბაშვილი – „დ’ირაკლი“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ნინო კეთილაძე – „კიდევ ერთი სუპერგმირული ისტორია“ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ტუხა კვინიკაძე – „ალიკა და მთა“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თინათინ მანია – „სარკმელი სხვენზე“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ლია ნოზაძე – „ბაჯო (ცხრაგულიანი დევის ზღაპარი)“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მარიამ ჭანჭალეიშვილი – „რაც არასდროს დაგემართება“ – (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მარიამ ჭუმბურიძე – „ალუბლები“ (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი)

ფინალისტები მეორე ტურში უკვე ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე შექმნიან ნაწარმოებებს. გამარჯვებულები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან. ყველა ფინალისტის ნაშრომი გამოიცემა.

კონკურსი პოსტდოქტორანტურაში მიღებაზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია, რომელმაც პოსტდოქტორანტურის ინსიტუტი შემოიღო და პირველი პოსტდოქტორანტებიც დაასაქმა. ინსტიტუტის მიზანია ახალგაზრდა მკვლევარებს საშუალება მიეცეთ თავიანთ პირველი სამეცნიერო და აკადემიური ნაბიჯები უნივერსიტეტის ფარგლებში გადადგა მას შემდეგ, რაც დოქტორის ხარისხს მოიპოვებენ.

წელს უნივერსიტეტი კვლავ აცხადებს პოსტდოქტორატურის ფარგლებში დასაქმებაზე კონკურსს.

კონკურსის პირობებით, კონკურსში მონაწილეობისათვის პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის ქონა;

ბ) არა უმეტეს 35 წლის ასაკი (პოსტდოქტორანტად მიღების პროცედურის დაწყების მომენტისათვის);

გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან გასული არ უნდა იყოს 3 წელზე მეტი.

პოსტდოქტორანტად მუშაობის მსურველმა საკონკურსო კომისიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული, მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) გამოქვეყნებული შრომების სია;

ე) უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს, აკადემიური განათლების რომელიმე საფეხური დასრულებული აქვს და შესაბამისი აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვს უცხოენოვანი პროგრამის გავლის საფუძველზე);

ვ) პოსტდოქტორანტის სავარაუდო მეცნიერ-კონსულტანტის თანხმობა კონსულტირება გაუწიოს პოსტდოქტორანტად დასაქმების მსურველ პირს მისი საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში;

ზ) პროექტი (6 თვიან პერიოდებად გაწერილი კვლევის შუალედური და საბოლოო შედეგების სახით) რაც წარმოდგენილი უნდა იქნას №1 დანართის შესაბამისად – „პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები“;

თ) სამეცნიერო დარგის/მიმართულების ორი წამყვანი სპეციალისტის მხარდაჭერის წერილი.

3. პოსტდოქტორანტად არ შეიძლება მიღებული იყოს პირი, რომელსაც უკავია აკადემიური და სამეცნიერო სტატუსის მქონე თანამდებობა.

4. პოსტდოქტორანტად კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება პირს, რომლის მიერ წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევა უკვე დაფინანსებულია სხვა ორგანიზაციის მიერ და ხორციელდება მის ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტის წარმომდგენი უფლებამოსილი პირი და ის ორგანიზაცია, რომლის ბაზაზეც ხორციელდება მისი პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევა, შეფასების დაწყების ეტაპამდე წარმოადგენენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებულ წერილობით დაპირებას, რომ უნივერსიტეტის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში მიმდინარე კვლევა იქნება შეწყვეტილი და მის შედეგებზე უფლებამოსილება (საავტორო ქონებრივი უფლებები, უფლებები გამოგონებაზე, პატენტი და სხვ.) ხსენებულ ორგანიზაციას არ ექნება.

დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2015 წლის 2 ნოემბრიდან – 30 ნოემბრის ჩათვლით.

„მისია 2015“ – სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსი - „მისია 2015“ იწყება. წელს პროექტის პარტნიორი კომპანია „თიბისი“ ბანკი იქნება.

პარტნიორი კომპანიის გადაწყვეტილებით ელექტრონული წიგნების სახლი “საბა“ კონკურსის ყველა მონაწილეს საჩუქრად 10 ელ.წიგნს გადასცემს.

თსუ-ს სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში - “მისია“ უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უბრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა. კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ გახდნენ კომპანიის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები, დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები, გაიმარჯვონ კონკურსში, მოიპოვონ ფულადი პრემია და განახორციელონ თავიანთი იდეები.

კონკურსი ორ ეტაპად ხორციელდება: პირველ ტურში მონაწილეები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ დავალებას ასრულებენ, წელს მონაწილეებს წიგნის მაღაზიათა ქსელის „Scripta manent“ საკომუნიკაციო სტრატეგია 2015-ის მომზადება მოუწევთ, ხოლო მეორე ტურში ფინალისტი გუნდები პარტნიორი ბრენდის დავალებაზე იმუშავებენ.

კონკურსის საპრიზო ფონდი 5000 ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ სამეულს „თიბისი ბანკი“ გადასცემს:

I ადგილი - 2500 ლარი
II ადგილი - 1500 ლარი
III ადგილი - 1000 ლარი

კონკურსი წელს მეხუთედ ჩატარდება. ოთხი წლის განმავლობაში სტუდენტურ კონკურსში მონაწილეობა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 200-მა გუნდმა მიიღო. გასულ წლებში კონკურსის პარტნიორი კომპანიები იყვნენ: „IDS ბორჯომი საქართველო“, „გეოპლანტი“, „ნაგახტარი“ და „სანტე“.

გასულ წელს სტუდენტურ კონკურსში მონაწილეობა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 58 გუნდმა მიიღო, შემოსული პროექტებიდან შიდაშესარჩევმა ჟიურიმ 6 საუკეთესო გამოავლინა, ხოლო სამი საუკეთესო გამარჯვებული კონკურსის მთავარმა ჟიურიმ შეარჩია, რომლის შემადგენლობაშიც უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, კომპანია შპს „სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“-ს გენერალური დირექტორის მოადგილე ერეკლე გამყრელიძე, „ვენდის“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი სოფო ჩოგოვაძე, კომპანია „ჯეოსეელის“ მარკეტინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი ნიკა გვეცაძე და კონკურსის 2012 წლის გამარჯვებული, პიარ სკოლის კოორდინატორი თეიმურაზ ბაბუციძე შედიოდნენ.

კონკურსის გამარჯვებული შარშან გუნდი „Death star“-ი გახდა, რომელსაც ფულადი პრემია 2500 ლარი გადაეცა, მეორე ადგილი გუნდმა “ემისია“ დაიკავა და 1500 ლარით დაჯილდოვდა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი „TSU energy“-ის ერგო, რომელმაც საპრიზო ფონდიდან 1000 ლარი მიიღო.

ფინალში გასულ ყველა მონაწილეს კონკურსის სერტიფიკატები და ორგანიზატორების სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. უნივერსიტეტის კიდევ ერთმა პარტნიორმა ინტერნეტ მაღაზიამ BE.ge გამარჯვებული გუნდები მეხსიერების ბარათებითა და ფასდაკლების ვაუჩერებით დაჯილდოვა.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge